



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 2614

30/08/2018

2614-31-4-201808301649



წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 6 მარტის №35 ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 6 მარტის №35 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. და 10.4 პუნქტების, მე-11 მუხლის 11.3. პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 3 აგვისტოს №31 2356 ბრძანებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის 2018 წლის 16 აგვისტოს №95 სხდომის ოქმის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს N 4673-31 მოხსენებითი ბარათისა და დასკვნის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეწყვეტილ იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 6 მარტის №35 ხელშეკრულება 2018 წლის 30 აგვისტოდან.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევის (სრულად შეუსრულებლობის) გამო შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით - 1557,60 (ათას ხუთას ორმოცდა ჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.

3. ბრძანების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში პირგასამტეხლო თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ამოღება მოხდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.


4. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5. ბრძანების ასლი ჩაბარდეს შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ზურაბ მაისურაძეს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
გრიგოლ იოსელიანი



მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია